**№ 198**

შაბათი, 16 სექტემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1წ | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 198

შაბათი, 16 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



**სურათები**

მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა

**ისყიდება:**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.

**ფასები:**

კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

**— ტფილისის სახაზინო თეატრი.**

ვ. ლ. ფორკატი

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 15-სა 20 სექტემბერს შუა დაიწყება რუსულის ოპერის საზამთრო სეზონი. ამ სეზონში მოთამაშე პირთა გუნდს შეადგენენ: პრიმადონნები: ქ-ნი ბერტენევისა, ენკვისტ მარშად, ვიქტოროვა, კუროჩკინა და შუბინა.

—კომპრიმარიო: პერეპლეტჩიკოვა, პორეცკაია; არტისტნი: ბრუშევსკი, დე ვიკლერ, სიკაჩინსკი, ჩებანოვი, გრებინი, კრუგლოვი, ოსტროვიდოვი, ჩისტაკოვი და პუშკარევი; —კომპრიმარიო: ბელსკი და კანატოპსკი; —დირიჟორები: 1) ბ-ნი ტრუფი, 2) დირიჟორი და კონცერტ-მეისტერი ბ-ნი ნოვაცკი, ხორმეისტერი ბ-ნი ეიხენვალდი, სუფლერი—ბ-ნი ვალენტინოვი. ხორო შესდგება 36 კაცისაგან, ორკესტრი—30 კაცისაგან. რეჟისორის თანაშემწე ბ-ნი ბელსკი. ორკესტრში დაუკრავს ალფა ქ-ნი დუმანი. რეპერტუარი კერძო აფიშებშია გამოცხადებული. ადგილების ფასი საოპერო წარმოდგენებისაა.

ვისაც ჰსურს აბონიმენტი გახდეს, შეუძლიან მიიღოს სააბონიმენტო წიგნი 100 მ. 20% დაკლებითა და 50 მ. 10% დაკლებით. ანტრეპრენერი ამით აცხადებს მათ საყურადღებოდ, ვინც საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენებს ჰმართავს ხოლმე, რომ დღეების დათმობა ამ აზრით წარმოდგენებისათვის შეუძლიან მას მხოლოდ ამ წლის 24 დეკემბრამდის.

ადმინისტრატორი ნ. პოზდნიშევი.
ანტრეპრენერი ვ. ფორკატი.

(3—2)

**ვ ე ქ ი ლ ი ც ი ნ ი ღ ო ნ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.


# ახალი ამბავი

—

*** სოფ. ხოვლე: 11 ამ თვეს აქაურმა თავად-აზნაურობამ გარდაიხადა პანაშვიდი ჩვენის საყვარელის მეფე ერეკლეს და კრწანისის ველზედ გმირულად განწირულთ ქართველთა სულის მოსახსენებლად.

*** ქ. ერევანი: 11 სექტემბერს აქაურს საკრებულო ტაძარში შეიკრიბა მთელი ქართველობა, სადაც გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გმირის ერეკლე II-სა და ქართველ მეომართა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გარდაიხადა დეკანოზმა მ. ისაკ იორდანაშვილმა, რომელმაც მოკლედ, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით ნათლად განუმარტა დამსწრე საზოგადოებას მეფის და მის მხედრობის თავგანწირული ბრძოლა კრწანისის ველზედ და აუხსნა დღევანდელის დღის ფრიად დიდი მნიშვნელობა როგორც ასის წლის თავისა. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ქართულს ენაზედ, ქართულის გალობით. პატივცემულის დეკანოზის სიტყვამ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზედ. პანაშვიდის შემდეგ გამოითქვა სურვილი, რომ შეიკრიბოს ჩვენ შორის ფული ძეგლისათვის, რომელიც უეჭველია აეგებათ დაუვიწყარი გმირთ კრწანისის ველზედაო.

*** დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტები თითქმის ყველანი მოგროვდნენ ტფილისში; დღეს დაიწყება ახალის პიესების რეპეტიციები. პირველი წარმოდგენა კვირას, 24 სექტემბერსაა დანიშნული. პირველსავე თვეში წარმოდგენილი იქნება სამი ახალი პიესა: «კურდღელი,» „ფიგაროს ქორწინება“ და „სამეფო ტახტისათვის“.

*** ხვალ, 17 სექტემბერს დაიწყება წარმოდგენები სახელმწიფო თეატრში. პირველად ითამაშებენ ოპერას „დემონ“-ს. დასში, რომელიც ფორკატიმ და პოზდნიშევმა შეადგინეს, არიან იმისთანა პირნიც, რომელთაც კარგი სახელი აქვთ დამსახურებული. მაგ. ქ-ნი ენკვისტ, მარშად, და ვიქტოროვისა და ბ-ნი დევიკლერი, რომელნიც ტფილისელებს ძალიან მოსწონთ. ხორო შესდგება საუკეთესო ადგილობრივ და ხარკოველ მემუსიკეთაგან.

*** კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების მორიგი კრება დანიშნულია დღეს, 16 სექტემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ. კრება განიხილავს მიმდინარე საქმეებს: 1) მოხსენებას ვ. მ. კარპეჩენკოსას იმის შესახებ, რომ ტფილისში ს.-პეტერბურგის საურთიერთო დამხმარებელ სამკურნალო საზოგადოების განყოფილება იქმნას გახსნილი; —ფ. მ. როზენბაუმისას—სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფთა დასურათება; ა. ა. გრეჩიხინისას, —„ექვსი შემთხვევა მკეთროვანებით ავადმყოფობისა“ და „1892 წლის ხოლერა ყარსის ოლქში. კრებას გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

# ფელეტონი

—

**1795 წ. სახსოვრად.**

აგერ ამოდგა აჩრდილი,
აკლდამის კარი გაიღო;
რა ფრიად შეწუხებულა,
ხელში ფრანგული აიღო...
მოჰგვარეს ლურჯი ტაიჭი,
ნალმა ძგრიალი გაიღო;
თვალთაგან ცრემლსა ნადენსა,
სისხლი უცინის მკლავზედა.
მაინც არ ტყდება მოხუცი,
ხელი უვლია ხმალზედა;
გასცქერის ტფილისისაკენ,
აღშფოთებული ძალზედა.
იწვება ჩვენი ქალაქი,
ალი შემკდარა ალზედა;
იქ მიშველება სწადიან,
თავს ესხმის გუნდი მტერისა,
უხმობს იმერთ და ამერთა,
ვისაც თავი აქვს შველისა.
მოუვლენ არაგველები,
გულ-გადალევით ელისა;
სადა ჰყავს შავარდნის გუნდი
გავკაცნი ლომის ფერანი?
ტახტი დაუწვეს მეფესა,
ქვეყანა ქმნილა ვერანი.
სრულ სისხლით გადაბასრულან
მწვანე ივერთა ველანი;
ყარყაშობს ალა-მაჰმადი,
თამაშობს იმის მერანი.
სადაა ქართველთ ბიჭები,
ვით გასძლონ ამის მზერანი?
— ვაჰმე, სადა და საღლაა
კრწანისზედ გასწყდნენ ყველანი!
უხმობს, უწოდებს მხედართა..
დადუმებულან ენანი..
თამარს და ვახტანგს მიართვეს
ტანზედ წყლულების თმენანი.
ვაჰ, რომ მათ შთამაოებას
დაგვეხშო ყურთა სმენანი:
სისხლის დაღვრასთან სწორად გვაჩნს
ქაღალდს ნათითხნი მელანი.

ვაჟა-ფშაველა.

**ცხოვრება და ხელოვნება.**

**IV**

**Marcel Prevost. hes demi—Uierges. Paris 1894 წ.**

საფრანგეთის ლიტერატურაში ამ ჟამად ახალ-გაზდა მწერალთ შორის თავი იჩინეს და ევროპის ყურადღება მიიქციეს მარსელ პრევომ, პოლ მარგერიტმა და ჟან რონიმ. მათი თხზულებები მით არიან შესანიშნავნი, რომ მარტო იმას-კი არა სცდილობენ ფოტოგრაფიული სურათი გადმოგცეთ ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენისა, არამედ ამ მოვლენას მსჯავრსა სდებენ და მის ზნეობრივ მხარეს აფასებენ [1]). ამ მხრით მათი ნაწარმოებნი ახალს ხანას შეადგენენ საფრანგეთის ლიტერატურაში. მათგან პრევო და მარგერიტი გვიხატვენ ზნეობრივ მდგომარეობას ეხლანდელის საფრანგეთის უმაღლესი საზოგადოებისას და სცდილობენ რაიმე წამალი აღმოაჩინონ მათის ზნეობრივის სენისაგან განსაკურნებლად, რონი-კი თავისს მოთხრობებში ეხლანდელის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას ეხება, მაში ხედავს ზნეობის დაცემის მიზეზსა და მის მოსასპობლად სხვა-და-სხვა გზას უჩვენებს.

არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ამ ცოტა ხნის წინად რომანისტი, თუ კრიტიკოსი იმას ქადაგებდა, მწერლობა მხოლოდ სარკე უნდა იყოს, რომელმაც ცხოვრება სრულის სინამდვილით დაგვანახვოსო და ავტორს არავითარი უფლება არა აქვს თავისი „მე“ გამოააშკარავოს რითიმეო. ის თხზულება უფრო დიდებულად ითვლებოდა, რომელშიაც ავტორის პირადობა სრულიად დამალულად იყო და შეუმჩნეველი მკითხველთათვის. ამიტომაც, რასაკვირველია, საუკეთესო ნაწარმოებად ის იყო მიჩნეული, რომელიც ყოველივე ზნეობრივ ტენდენციას იყო მოკლებული, რადგან ეს ხომ ავტორის მსჯავრი, იმისი აზრი იქნებოდა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. რამდენად ახერხებდა ამას ფლობერი ამ დოქტრინების მოძღვარი ან და ახერხებს ზოლა ეს არხი-რეალისტი, ეს მკითხველისათვის მიმინდვია განსასჯელად.

არც იმაზედ არის საჭირო ბაასი თუ რამდენად ძნელია და შეუძლებელი ავტორმა თავის-თავი, თავისი გრძნობები და აზრები დამალოს და არ გამოაჩინოს. წარმოვიდგინოთ შესძლოს მწერალმა და მიაღწიოს, რომ სულ ფოტოგრაფიის აპპარატს დაემსგავსოს, ცხოვრება მხოლოდ ფოტოგრაფიულად გამოხატოს, მაინც ყოველივე ცხოვრების მოვლენას თან სდევს თავისი მსჯავრი, და ყოველი მკითხველი მის სასტიკსა და პირუთვნელ მსაჯულად იქცევა. მერე რატომ უნდა ვიქონიოთ ფოტოგრაფიულ სურათზედ ისეთი წარმოდგენა თითქო გაშალაშინებული ფიცარი იყოს და ან ასპიდის დაფა, რომელზედაც რაც გენებებათ იმას დასწეროთ. დახედეთ ფოტოგრაფიულ სურათს, თუ ყოველთვის არ შეამჩნიოთ, რომ ესა და ეს პირი ამ წუთში ასეთს თუ ისეთს განწყობილებაზედა ყოფილა და ხან-და-ხან იმ ზომამდის მიდის ზოგიერთის ნიჭი, რომ სურათზედ სახის გამომეტყველების შემწეობით შეიძლება მიხვდეს რა ხასიათის არის ესა და ეს კაცი საზოგადოდ. ზოგიერთი სურათი საზიზღრად გეჩვენებათ, ზოგი-კი უცნაურის სიმპატიით მოგხიბლავთ ხოლმე. რასაკვირველია, სახის კარგად გადაღებაც ფოტოგრაფის ხელოვნებაზედ არის დამოკიდებული, მაგრამ ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ვერც ერთს ფოტოგრაფს ვერ გადაუღია სახე მათემატიკურის სინამდვილით. ზოგი ასახიჩრებს მას და ზოგი ამშვენიერებს. ამნაირად, რაც უნდა ფოტოგრაფიულად გამოგვიხატოს მწერალმა ცხოვრება, მაინც, ცოტა არ იყოს, თავისებურად გარდაჰქმნის მას, რაც არ უნდა ეცადოს, მაინც ასეთსა თუ ისეთს შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზედ და ამგვარსა თუ იმგვარს აზრსა და გრძნობებს აღძრავს მასში. გარდა ამისა არც ერთი ცხოვრების მოვლენა თუ სრულად და ღრმად დაგვიხატავს მწერალი მისს სურათს, არ არის მოკლებული ზნეობრივს შინაარსს, რაიმე ზნეობრივს მაგალითს წარმოადგენს ყოველთვის და ყოველთვის გონების გამწრთვნელია და ზნეობრივის მცნების მასწავლებელი პირდაპირ იქნება თუ გადაკვრით.

გარემოებათა ქარიშხალმა გონს მოიყვანა საფრანგეთის მოწინავე რაზმი და აგრძნობინა, თუ რა ძნელია ზნეობრივის ცხოვრებისა და ღვთიურის იდეალის მივიწყება. დღეს საუკეთესო წარმომადგენელი ხელოვნებისა თუ ფილოსოფიისა, ჰგოდებს ზნეობის დაცემაზედა და ყოველს ღონესა ჰხმარობს მისს აღსადგენად. მათ შეიგნეს, რომ ზნეობით დაცემულსა და გათახსირებულს საზოგადოებას გულში უზის ჭია, რომელიც ღრღნის მას და ადრე იქნება თუ გვიან, სულაც მოსპობს პირისაგან ქვეყანისა. მათ შეიგნეს, რომ მხოლოდ ზნეობით მაღალსა და განსპეტაკებულს საზოგადოებას შეუძლიან ხელში აიღოს დროშა სამშობლოს დიდების დასაცველად, რომ ეს დროშა წმიდაა, რომელიც ვერ იგუებს უწმინდურის ხელის შეხებას.

ან-კი რა ადამიანური აზრი უნდა

[1]) გასაკვირველია, რომ ჩვენი ახალგაზდა მწერლებიც ამაში ფრანგულ მწერლებს წააგვანან. იგინიც დიდს ყურადღებას აქცევენ ჩვენის ცხოვრების ზნეობრივ მხარეს. ხოლო, მაშინ როდესაც ფრანგული მწერლები გვიხატვენ უმაღლესი საზოგადოების გარყვნილებას და ხშირად იდეალს მდაბიო ხალხში ეძიებენ, ჩვენი მწერლები თვით ამ მდაბიო ხალხის გარყვნას გვიხატვენ. ჩვენის აზრით-კი ის უმთავრესი ცოდვა, რომელსაც აღგვიწერენ როგორც ფრანგული ისე ჩვენი მწერლები — ადიულტერი (მრუშება) შ არაგვისპირელის „და-ძმა“, ე. ნინოშვილის „არშიყნი“, „უცნაური სენი“, ან. ერისთავის ასულის „ლაზარემ გადააჭარბა“, დ. მეგრელის „გოგია და ქანა“)—უფრო უმაღლესი საზოგადოების შექმნილია და შედეგია მათის უაზრო და ფუქსავატის ცხოვრებისა. საეჭვოა, რომ დღიურ ლუკმის მაძებარ გლეხს არშიყობის დრო რჩებოდეს კიდევ და კიდევაც რომ ასე იყოს ეს იშვიათი მოვლენა უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო აცხადებს, რომ საეკკლესიო-საეპარქიო სასწავლებლებში ყმაწვილების მისაღებ უკანასკნელ ვადად დადებულია პირველი ღვინობისთვე და ამ ვადის შემდეგ ნურარავის ნუ მიიღებთო.

*** ქუთაისის მოურავი ბ. ლოლუა სწერს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს: „იმ კანონის ძალით, რომელიც არსებობს იუბილეს დღესასწაულობის შესახებ, უმაღლესმა მთავრობამ ვერ სცნო შესაძლებლად ნება დაერთო ეპისკოპოსის გაბრიელის 35 წლის იუბილეს დღესასწაულობისა; მაგრამ შემდეგ, როდესაც განხილულ იქმნა დღესასწაულის პროგრამა, მთავრობამ შესაძლოდ დაინახა იუბილეს გარდახდა კერძოდ, არა ოფიციალურად.“

*** გამოსაცდელი წარმოდგენები აღარ გაიმართება დრამატიული კომიტეტისაგან. მსურველებში მხოლოდ სამი პირი აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც არსად არ უთამაშნიათ და დანარჩენი 6 პირი-კი ცნობილნი არიან ვითარცა სცენის მოყვარულნი. ამისათვის საჭიროდ აღარ სცნო კომიტეტმა, რომ ცალკე გამოსაცდელი წარმოდგენა გამართოს—მხოლოდ ამ სამ ახალ მსურველთ სეზონის განმავლობაში მიეცემათ დებიუტი.

*** საჯავახოდგან გვწერენ, რომ როგორც გურიის სხვა ადგილებში ისე ჩვენშიაც ბოლო მოეღო წრევანდელს სიმინდის მოსავალსაო. ლომი-კი, ძალიან კარგია და იმედი გვაქვს ამით მაინც გავიტანოთ თავიო. ხილს ძალიან ბლომად ესხა ჩვენში და აგრეთვე შინაური ფრინველი ძალიან იაფად ისყიდება, რის გამოც საჯავახოს სადგურიდგან ძალიან ბევრი გაჰყავთ გასასაღებლადაო.

*** თიანეთიდგან გვატყობინებენ, რომ ამ თვის პირველ რიცხვებში ახლო-მახლო მთები ძალიან ჩამოთოვლა და თუმცა მალე ჩამოდნა თოვლი, მაგრამ მაინც ძალიან აცივდაო.

*** ჭიათურასა და ქუთაისს შუა დეპეშის გასამართავად უკვე მუშაობა დაიწყეს.

*** საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაავალა დეკანოზს ელიევს შეედგინა სია წიგნებისა ფშავ-ხევსურეთში და ოსეთში გასაგზავნად. როგორც გავიგეთ, ეს წიგნები უკვე უყიდნიათ და დანიშნულებისამებრ გაუგზავნიათ კიდეც. ხოლო ჩვენ აქ ერთი გარემოება გვაკვირვებს. დეკანოზის ელიევის განკარგულებით ასი თუმნისა ქართული და ოთხასი თუმნის რუსული წიგნი გაუგზავნიაო. ვაი თუ ის ოთხასი თუმანი სულ უბრალოდ და უნაყოფოდ დახარჯული შეიქნა, რადგან რუსულის წიგნის წამკითხველი ფშავ-ხევსურეთში სანთლითაც არ მოიძებნება.

*** ჩვენ გვთხოვენ, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მივაქციოთ ავლაბარში ახლად დაარსებულ თამბაქოს ქარხნის მომუშავე ბიჭებს. საქმე იმაშია, რომ არ ვიცით რა კანონის ძალით ამ ქარხანაში, თორმეტ-ცამეტის წლის პატარა ბიჭებს დილის 7 საათიდგან საღამოს 10 საათამდე ამუშავებენ, თუმცა კანონით ათ საათზედ მეტის ხნით მუშაობა აღკრძალულია. იმედია ამ საბრალო სიღარიბით გაჭირვებულს ბავშვებს ააცილებენ ასეთს უზომოდ და საზღვარ-გადასულს შრომას.

*** ს. ხოვლე: ამ ბოლო დროს ხშირმა წვიმებმა ერთობ საქმე გაგვიჭირა. დღე არ გავა, რომ კოკის-პირული წვიმა არ დაუშვას. თქვენს მტერს, ჩვენ საქმე დაგვემართება, თუ წვიმები დიდხანს განეგრძო; ჭირნახული სრულიად დაგვილპება. რაღაც ორიოდ კალო გავლეწეთ, ისიც ეხლავე შემოგვეჭმევა და ზამთარში ისე დავრჩებით წყალ გარეთ.

*** ს. სკრა, (ქართლი): ეს ერთ კვირაზედ მეტი იქნება, რაც განუწყვეტლივა წვიმს. ყურძენი აქამდის კარგად დამწიფებული იქნებოდა, რომ ამ წვიმებს არ შეეშალა ხელი. აქაური გლეხობა მეტად შეწუხებულია ამ წვიმების გამო. დღემდის მხოლოდ ზოგიერთებმა მოასწრეს წლის მოსავალის გალეწვა, დანარჩენთ-კი მხოლოდ რამდენიმე კალო გალეწეს და ისიც ქერები, ისე რომ თუ წვიმები არ გადიღო და ამინდმა ხელი არ შეუწყო, ხალხი უპუროდ დარჩება ზამთარში.

სტ. ყვირილა, (იმერეთი): აგერ ერთ კვირაზედ მეტი არის, რაც დღე და ღამე წვიმს და საგრძნობლადაც აცივდა. მუშა ხალხი გულ-ხელ დაკრეფილი არის გაჩერებული. იმათი წრევანდელი ნაშრომი და ნაოფლარი მინდვრად არის შეუნახავათ დარჩენილი უამინდობის გამო. ვგონებ, უადგო არ იქნება, აქ რომ მოვათავსო ზოგიერთი გზის შეკეთების შესახებ ცნობა, რადგანაც ჯერ არავის არ მიუქცევია ყურადღება. ნამეტანი გაუვალი ტალახი არის ძველის ფოსტის ქუთაისში მდინარე ყვირილის წისქვილის არხის პირათ, სადაც ავდრების დროს ბედაური ცხენი ვერ გაატანს.

*** ქუთაისი: აგერ ათი დღეა, რაც აქ განუწყვეტლად სწვიმს. ჯერ იყო და საშინელმა ზენა-ქარმა მილეწ-მოლეწა ყველაფერი და ახლა ამ წვიმამ სულ ერთიანად ბოლო მოუღო სიმინდს. ვისაც ნაადრად დათესილი ყანები ჰქონდა, იმათ, რასაკვირველია, მოასწრეს და მიაკალიფეს, მაგრამ ასეთი ნაადრი ყანები ცოტას ჰქონდა და ამ ამინდის გამო მოსალოდნელია, რომ წრეულს ღვინის მოუსავლობით შეწუხებულს იმერეთს, სიმინდის მოსავალიც ძალიან ნაკლებად ექმნეს.

ამ ჟამად ძალიან ძვირობაა ჩვენში როგორც სხვა-და-სხვა ხორაგისა, ისე ნამუშავარისა.

## მცირედი შენიშვნა მღვ. დ. ჯანაშვილის წერილების გამო.

ამ უკანასკნელს დროს მღ. დ. ჯანაშვილმა დაბეჭდა „ივერია“-ში მოკლე-მოკლე წერილები. მამა დიმიტრი, როგორც სჩანს იმის წერილებიდამ, ფხიზლობს, თვალყურს ადევნებს თავისს მემამულე ინგილოების მდგომარეობას, მათ ყოველ-დღიურ ცხოვრების მიმდინარეობას, ზაქათალის ოლქში დღევანდლამდე შენახულს ისტორიულ ნაშთებს და სხ.-და-სხ. სასიამოვნოა ძალიან, რომ მღ. ჯანაშვილმა კვლავ მიმართა კალამს და იწყო წერა, მაგრამ სამწუხაროა ყველაფერი, რასაც მოგვითხრობს თავისს უკანასკნელს წერილში ცნობილი მღვდელი. როგორც ჯანაშვილი ჰმოწმობს, ინგილოებში გავრცელებულა ქურდობა, ქალების მოტაცება, ქრისტიანობაზედ გულგრილობა, გონებითი სიბნელე, ისტორიულ ნაშთების განადგურება და სხ.

ვინც მიჩვეულია ბეჭდვითის სიტყვის ყურადღებით მოსმენას, უეჭველია, ჯანაშვილის წერილების წაკითხვის შემდეგ იკითხავს: რას, ანუ ვის უნდა მიეწეროს ინგილოების დღევანდელის ცხოვრების ამგვარი უკუღმართი, ანორმალური მიმართულება? ვინ უნდა ითვლებოდეს ამ შემთხვევაში დამნაშავეთ, პასუხისმგებელად წინაშე ღვთისა და კაცისა? თითონ ჯანაშვილიც შედის ამ კითხვის გარკვევაში და გვიპასუხებს, რომ თუმცა სავსებით არა, მაგრამ მაინც ხსენებულს საქმეში დიდი დანაშაული მიუძღვით ზაქათალის ოლქის სულიერ მამებსაო. დასახელებულ ოლქის სამღვდელოებას, ჯანაშვილის სიტყვით, „თვალები დახუჭული აქვს, სრულიად არ აწუხებს დაცემა ოლქში ქრისტიანობისა, იმას ახსოვს მხოლოდ თავისი თავი, ჩინები და ჯამაგირი“ (ივერია № 195). სხვა წერილებშიაც ამგვარივე საყვედურით იხსენიებს ჯანაშვილი ზაქათალის ოლქის სამღვდელოებას. მაგრამ ერთი ეს

---

უნდა ტრიალებდეს იმ საზოგადოებაში, რომელშიაც სიყვარული, მეგობრობა, მამა-შვილური კავშირი, პატიოსნება, ერთის სიტყვით ყოველივე წმიდა გრძნობა შებღალულია და გაყიდული ოქროს ნაპოლეონოდორებად? განა შეუძლია იმ ხალხს, რომელსაც უმაღლესს კერპად ოქროს ხბო ჰყავს არჩეული, შეიგნოს უმაღლესი პრინციპი სამშობლოისა და კაცობრიობის სიყვარულისა? განა შეუძლია მას არ გაჰყიდოს რამდენიმე ვერცხლად თავისი ღმერთი და თავისი ქვეყანა, რომელიც ჩირადაც არ მიაჩნია და განა ასე არ იქცეოდნენ საფრანგეთის დამცველნი უკანასკნელს ომში? დიაღ, ბატონებო, მხოლოდ ზნეობრივს საზოგადოებას შეუძლია დიადის პრინციპების შეგნება, მხოლოდ ამგვარს საზოგადოებაში შეიძლება აღიზარდოს ხე ძმობისა, ერთობისა, თავისუფლებისა და უამისოდ ხომ ცხოვრებაც შეუძლებელია, განწირულია ადრე თუ გვიან მოსასპობლად. თანაც მარტო იმ საზოგადოებას შეუძლია ზნეობრივი ცხოვრება, რომელსაც რაიმე დიადი იდეალი ასულდგმულებს და რომელიც პირუტყვულ გრძნობების დაკმაყოფილების მეტს რასმე კიდევ ეძიებს. ამგვარი ურთიერთ შორის კავშირი და ზედ გავლენა იდეალისა და რიგიანად ცხოვრებისა, პირველი უმეოროდ და მეორე უპირველოდ შეუძლებელია. ეხლანდელი მწერლები სწორედ ამნაირის ცხოვრების განმტკიცებასა სცდილობენ საზოგადოებაში. დაეხსენით ამ საძაგელს მრუშობას (ადიულტერს), ნუ კარგავთ მშვენიერს დროს ქალების დევნასა და ტყუებაში, მოეხმარეთ თქვენს დაჩაგრულს სამშობლოს, აღამაღლეთ იგი ქვეყნის თვალში, როგორც უწინ იყო ამაღლებულიო, ნუ დაუკარგავთ მას პირველს ადგილს კაცობრიობის წინ-მსვლელობაშიო; თქვენი ნიჭი და თქვენი გრძნობა, რომელთაც საზიზღარსა და უმნიშვნელო მოქმედებაებს ახმარებთ, მოახმარეთ ამ დიადს საქმესაო, ამბობს ერთი. დაიცევით ოჯახის სიწმინდე და შესწირეთ თქვენი თავი თქვენის შვილების ადამიანურადა და რიგიანად აღზრდას, დაიმორჩილეთ თქვენი წუთიერი მავნე და ბიწიერი გრძნობები და აღასრულეთ ღვთისაგან და საზოგადოებისაგან თქვენზედ დადებული მოვალეობაო, ამბობს მეორე. შეამცირეთ თქვენი აღვირ-წახსნილი ეგოიზმი, გახსოვდეთ, რომ თქვენს გარეშე არიან თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენისთანავე ადამიანნი, რომელნიც იტანჯებიან ფიზიკურად და სულიერად, მოეხმარეთ ამ დაჩაგრულთა და ტანჯულთა და მოსწმინდეთ მათ ჭირის ოფლი, მაშინ დროც აღარ დაგრჩებათ უშინაარსო და უაზრო ცხოვრებისთვისაო, ამბობს მესამე. ერთიც, მეორეც და მესამეც გვიხატავს თუ რა მომავალი ექნებათ უმაღლესის მოვალეობის არ აღმსრულებელთ და ბინძურ ცხოვრებით გატაცებულთ.

გარყვნილს ცოლ-ქმარს, ზნეობა დაცემულს დედ-მამას და ყოველსავე ადამიანურს გრძნობას, სიყვარულს და სიბრალულს მოკლებულ კაცსა და ქალს ელის ზიზღი მთელის საზოგადოებისა, სინიდისის ქენჯნა და სულიერი ტანჯვა, ელის ბოლოს დამარცხება ცხოვრებისათვის გაფაციცებულს ჭიდილში. ერთ სამაგალითო თხზულებად, რომელშიაც გამოხატულია ზნეობა დაცემული და ხასიათ-გაფუჭებული საზოგადოება, უნდა ჩაითვალოს ის შესანიშნავი მოთხრობა მარსელ პრევოსი, რომლის სახელით ეს წერილი იწყება.[2])

ბოდ დე რუვრი ახალგაზდა ქალია, პარისის უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნის და წარმომადგენელია იმ ახალგაზდა ქალებთა, რომელთაც პრევომ დაარქვა უცნაური სახელი demi vierges—ნახევრად ქალწულნი. მას გაგიჟებით უყვარს ერთი ყმაწვილი კაცი ჟიულიენ სუბეჟსო, საუკეთესო ახალგაზდა პარისის უმაღლესს საზოგადოებაში, როგორც მშვენიერის შეხედულობით, თავისის ქცევითა და მიხვრა-მოხვრით, ისე მახვილისა და ცოცხალის ჭკუა-გონებით. ზნეობით-კი, რასაკვირველია, როგორც ყველანი ისიც დაქვეითებულია. ამასაკ გაგიჟებით უყვარს მოდი, მაგრამ მათ შეერთებას წინ ეღობება სიღარიბე: ათი თუ ოცი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი, რომელიც მოდსა აქვს ეტლის ქირისთვისაც-კი არა ჰყოფნის. მაგრამ იგინი თავისს სიყვარულსა და სურვილებს იკმაყოფილებენ მით, რომ ცხოვრებენ, როგორც საქმრო და საცოლო. მოდი თითქმის ყოველიფრის ნებას აძლევს ჟიულიენს, ასე წარმოიდგინეთ კიდევაც დადის მისას ჩუმ-ჩუმად. რამდენი საათი გაუტარებიათ ერთად მარტო, ერთმანერთის ხვევნა-კოცნაში. მხოლოდ იმის ნებას არ აძლევს მოდი, რასაც შეიძლება გლახა შედეგი ექმნეს, არ აძლევს მისს ნებას, რის აღსრულებაც მარტო ქმარს ეკუთვნის. ამიტომაც დაარქვა მას ავტორმა „ნახევრად ქალწული“. მოდი არწმუნებს ჟიულენს, რომ იგი მხოლოდ სიმდიდრისათვის თხოვდება, თორემ სიყვარულით მის მეტი არავინ ეყვარება და გათხოვებისათანავე საყვარლად გაუხდება.

ამ დროს მოდის დედას გაეცნობა ვიკომტ დე შანტელის სახლობა, რომელიც შესდგება დედისაგან და დაძმისაგან. მაქსიმე დე შანტელს (ძმას) გაგიჟებით შეუყვარდება მოდი. იგი დიდი მდიდარი კაცია, ატარებს დიდ სახელს, არის პატიოსანი, მეტის-მეტი კეთილშობილი და ღირსეული კაცი, ზნეობით დაცულია ისე, როგორც ქალიშვილი. თავისის ხასიათებით იგი სრულს კონტრასტს წარმოადგენს პარისის ახალგაზდობისას. როცა დე შანტელი განაცხადებს სურვილს მოდის შერთვისას, ეს, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დასთანხმდება. მაგრამ ეხლა ჟიულენს უცნაური ეჭვი დაებადება. ის ვეღარასფრით ვერ უძლებს ტანჯვას იმ ფიქრით გამოწვეულს, რომ მოდი სხვისი იქნება. მას აღეძვრება სრულიად სამართლიანი და კეთილშობილური ზიზღი ამნაირად თავისს საყვარელი არსების გაზიარებისა. ერთ დღეს ადგება და დეშანტელს ეტყვის, რომ მოდი მისი საყვარელი იყო. მოდი, რომელიც ამ ლაპარაკში იქ არის, გაანჩხლება და თავზედ ქოლგას გადაამტვრევს. მაქსიმე დეშანტელი-კი განაცხადებს სურვილს შენდობისას, რადგან „წარსული მე არ მეკუთვნის“ო, მაგრამ მოდის იმდენი ჭკუა კიდევ შერჩენოდა, რომ ამგვარი ფრაზებისთვის მნიშვნელობა არ მიეცა. მან კარგად იცოდა რამდენი საყვედური შეხვდებოდა ცხოვრებაში „წარსულისათვის“ და ის არჩია არ დასთანხმებულიყო და არ მიეღო შენდობა. ჟიულენი მერე ბევრს ემუდარება აპატიოს და შეურიგდეს, თავისს მოკვლასაც-კი ემუქრება, მაგრამ მოდი შეუბრალებელია. ბოლოს ჟიულენისგან მიიღებს უკანასკნელს წერილს, რომელშიაც უცხადებს, რომ თავს იკლავს. მოდი-კი ადგება და ხასად დაუჯდება ვიღაც საზიზღარ ცოლიან ბანკირს, რომელიც იძიებდა ჟამსა მარჯვესა როცა მოდი გაჭირვებაში ჩავარდებოდა, რათა მაშინ ხელში ჩაეგდო.

აი რა უცნაურ სენს გაუდგამს ფესვი საფრანგეთის (და რატომ ყოველი ქვეყნის არა?) წარჩინებულს საზოგადოებაში. ფრანგელი მწერლები იმას სტიროდნენ, ქმრიანი ქალები უწესოდ იქცევიანო და თურმე უარესი. ქალიშვილებიც ისე იქცევიან როგორც გათხოვილები და წინ-და-წინვე პირობას ჰკვრენ გათხოვდებიან თუ არა გარყვნილების მორევში შეცურონ. მათ ჰყავთ საყვარლები, ან-და უკეთა ვსთქვათ ნახევრად-საყვარლები, რომლებსაც წამ-და-უწუმ სახლში უვარდებიან, კისერზედ ეხვევიან და ტყვილა უბრალოდ სისხლს

---

[2]) ამ რომანმა მთელი განათლებული ქვეყანა აალაპარაკა და იქ გამოხატულმა ჭეშმარიტმა სურათმა ბევრი გააოცა და თავს ზარი დასცა. მით უფრო მივაქციეთ ამ თხზულებას ყურადღება, რომ არა გვგონია ჩვენის საზოგადოებისათვის უცხო რამ იყოს იქა და თუ ჩვენმა მწერლებმა არ იტვირთეს და ან ვერ შესძლეს ჩვენის საზოგადოების ბიწიერება გამოექვეყნებინათ, უცხო მწერლებს მაინც მივმართოთ, რომ დავანახვოთ საზოგადოების საზიზღარი სურათი, რომლის შესახებაც იმას ვერ იტყვის, ეს ჩვენ არ გვეხებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკითხოთ: ვინ არის ეს სამღვდელოება, სულ რამდენი პირი შეადგენს მას, რომ ასე ხშირად და გულმოდგენით ჰკიცხავს ხოლმე ჯანაშვილი? თითონ მამხილებლითი— სულ ექვსი მღვდელი! აი ამ ექვს მღვდელს, მათ შორის, რასაკვირველია, ჯანაშვილსაც, ამ სულიერ მამებს, რომლებიც იწოდებიან „მარილად ქვეყნისა და ნათელად სოფლისა“, და დაუღუპავთ საინგილო! ამ მღვდლების განსაკიცხსაგმობ საქციელში მხურვალე თანამონაწილეობა ჰქონია თვით მღვდელს ჯანაშვილსაც, ე. ი. ამ ინგილოთაგან ინგილოსაც დღევანდლამდის „თვალები ჰქონია დახუჭული, არ შეწუხებულა ოლქში ქრისტიანობის დაცემის გამო, ხსომებია მარტო თავისთავი, ჩინები და ჯამაგირი“.

„არაო, იტყვის თავისებურად მღვდელი ჯანაშვილი, მე თუმცა საინგილოს სხვა მღვდლებზედ მომეტებული ხანია რაც ზაქათალის ოლქში ვმსახურობ, მაგრამ დანაშაული-კი არაფერში არ მიმიძღვის, რადგანაც ყოველთვის მედგრად, თავდადებით და გამბედაობით მიბრძოლია ჩემ ულირსთ თანამეოლრეების განსაკიცხ საქციელის წინააღმდეგაო“. დიაღ, მღვდელმჯანაშვილი ტყვასიმარილიანი კაცია, თავ-გასამართლებელს პასუხს იპოვნის, მაგრამ განა დასაჯერებელი საქმეა, გონიერმა, პატიოსანმა და გულწრფელმა ადამიანმა ხუთ, ცოტად თუ ბევრად შესმენილ, კაცზედ ვერ იმოქმედოს სასურველად, ხუთ კაცს ვერ შეასმინოს თავისი ძმური სიტყვა, ვერ შეიმაგროს იგინი და ვერ ალაგმოს მათი განსაკიცხი, ქვეყნის ამომგდები საქციელი? არა, არა გვჯერა ჩვენ ესა და რომ დავიჯეროთ კიდეც, მაშინ რაღა ღირსება, რაღა ფასი ექნება იმ კაცის სჯა-ბაას, საზოგადო სიკეთისათვის მოთქმა-ტირილს, რომელიც მოკლებულია ამისთანა ციცქნა, მიკროსკოპულ მადლსა და უნარსაც-კი!

დავანებოთ ამას თავი. „მე უფროსი არ ვიყავ, და ამის გამო არაფერს მიგონებდნენ მღვდლებიო“, ბრძანებს უეჭველად ჯანაშვილი. კარგი, ავიღოთ მრევლი. მრევლში, მოგეხსენებათ, მღვდელი „ანი და ჰე“-ა, თავისუფალია, შეუძლიან თავისი კეთილი აზრები, პატიოსნური მისწრაფება და წადილი ადვილად განახორციელოს; იგი ზნეობრივ მოვალეა თავისის გონებისა და პატიოსნების ელფერი დასდოს მრევლს; გახადოს მრევლი იმისთანა, როგორიც თითონ არის და განახორციელოს მამაპაპათაგან თქმული გონიერი ანდაზა: „როგორიც მღვდელი — ისეთი ერიო“-ო. მაშ სრული ნება გვაქვს ვიკითხოთ, მრევლში მაინც არის წაჰბაძა ჯანაშვილმა კახის წმ. ბარბარეს ეკკლესიის სასიქადულო მღვდელს იასე ქიტიაშვილს, რომლის მაგალითზედ ასე თავ-მოწონებით და ზავთით უთითებს იგი სხვებს? გაგახაროთ ღმერთმა, რომ ყველასათვის გასახარელი იქნებოდა ეს, ყველას დიდიხანია გვეცოდინებოდა ამგვარი სიკეთე, ალიზეგლოელები აღარ იქნებოდნენ დღეს შებოჭილნი ავსტრალიის ველურ ხალხთა უმეცრებით, მაგრამ... მაგარი ისაა, ჩემო მკითხველო, რომ პატიოსანი მღვდელი ჯანაშვილი იმ პირთაგანია, „რომელნიც იტყვიან და არა ჰყვიან; შეჰკრიან ტვირთი მძიმე და ძნიად სატვირთავი, და დასდვიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეძვრად იგი“. საქმე, საქმე და საქმე,— აი რითი უნდა ამტკიცებდეს მღვდელი ჯანაშვილი თავისს მამულიშვილობას და არა უდანაშაულო მღვდლების გაზეთებში ლანძღვითა.

ჯანაშვილს კარგად მოეხსენება, რომ ბელაქანში ეკკლესიის აშენება გადაწყდა იმ დროს, როდესაც პატივცემული ახალი მისსიონერი ჯერ ისევ რუსეთში იყო, მაგრამ განზრახ ამოუსვამს მას ახალი მისსიონერი „ვითარცა მართვე ქვეშე ფრთეთა თვისთა“ და კაკანებს: ახალმა მისსიონერმა ბელაქანში ეკკლესიის აშენება განიზრახაო (იხ. «ივერია» № 195).

ამასთან უმორჩილესად ვსთხოვ პატიოსნებაზედ და საზოგადო საქმეზედ მაღლად მღაღადებელ მოძღვარს შეგვატყობინოს—სად არიან ის ფულები, რომლებიც კარგა ხანია შეგროვდა კახის საზოგადოებაში ქართველთა ქალების მომავალ სასწავლებლის სასარგებლოთ და გადაეცა მას, ჯანაშვილს,—დანიშნულ ალაგს გასაგზავნათ. შესაძლოა მამა-ჯანაშვილმა კიდეც გააგზავნა, სადაც ჯერ არს, ეს ფულები შემდეგ იმ წერილისა, რომელიც ამ საგნის თაობაზე დაიბეჭდა „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში, მაგრამ ვგონებ, შემომწირველთა სია დაიბეჭდებოდა და ეს-კი მე ჯერ არც ერთ ქართულ გაზეთში არ შემხვედრია.

ქურმუხის ძირელი.

---

# უცხოეთი

—

**იტალია.** სიცილიის კუნძულის შესახებ გაზეთი ,,სტამპა‘‘ სწერს: მთელი ოლქი, გროტტე, საგანგებო სამხედრო კანონებს დაუმორჩილეს; გზებზე დარაჯთა რაზმები დადიან; ყველგან პოლიცია და ჯარი მზად არის, რომ მოსალოდნელს აჯანყებას წინააღუდგეს; ამ ოლქის მუშებს მეორე ოლქში—რაპალმუტში—არ უშვებენ, რადგანაც იქ ხალხი უკვე აჯანყდა და ადმინისტრაცია მთელის თვისის ძალ-ღონით სცდილობს აჯანყების მოსპობას. სხვა ოლქებში აჯანყდნენ გლეხები, რომელნიც დიდრონ მამულების დაყოფას თხოულობენ. პალერმოში და მის ახლო-მახლო ადგილებშიაც აჯანყება არის, იმიტომ რომ იქ მთავრობას მუშათა პარტიის წარმომადგენელნი დაუტუსაღებია. ერთი სიტყვით მთელი კუნძული მეტად აღშფოთებულია.

—

**ინგლისი.** ამ დღეებში ეპარქიის სამღვდელოების ჩვეულებრივი კრება მოხდა კარლეილში. საგნად კრებას ჰქონდა აღებული ის, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ეკკლესიისა და სოციალიზმის შუა. იორკის არხიეპისკოპოსმა, რომელიც კონფერენციას დაესწრო, წარმოსთქვა აზრი, რომ კრების საგანი ერთი უძნელესთაგანი და რთული საგანიაო. „ჩვენ ვერ დავფარავთ იმას, რომ სოციალიზმი ძალიან გავრცელებულია ინგლისის მუშა ხალხსა და ახალგაზდობაში, ამ პირობებშიო,— განაგრძობდა ორატორი,— დიდი უგუნურობა იქნებოდა ეკკლესიის მხრივ, არ აღნიშნოს ის ბოროტება, რომელმაც თავ-და პირველად ხელი შეუწყო სოციალიზმის მოძრაობას; უგუნურობა იქნებოდა აგრეთვე ისიც, რომ ეკკლესიამ განიზრახოს ახალგაზდობის მისწრაფებათა შეფერხება. ეკკლესიის მოვალეობაა აღიაროს ის, რომ დღეს ბევრი რამ თხოულობს ცვლილებას ნივთიერ ცხოვრებაში“. ამ უკანასკნელ წლებში რამდენიმე წინადადება წარმოადგინეს ამ აზრის მისაღწევად, როგორმე გააუმჯობესონ ნივთიერი დაქვეითება. მაგრამ რამდენად ყურადღების ღირსნი არიან იგინი, ეს სულ სხვა საგანია და ორატორის აზრით, უნდა დაწვრილებით იქმნან იგინი შესწავლილნი და იმავე დროს თვალ-ყური ადევნონ ყველა მათ, ვინც სოციალისტთა მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ და დაინტერესებულნი არიან. არხიეპისკოპოსი ურჩევს ყოველგვარი საშუალება იხმარონ ხოლმე და მუშა ხალხის სამართლიანი მოთხოვნილებანი აღასრულონ; ეს არის ერთად-ერთი საშუალება სოციალიზმის მშვიდობიანად დაგვირგვინებისათვისაო. არხიეპისკოპოსს ყურის მგდებელნი ტაშის კვრით მიეგებნენ. თავმჯდომარე კრებისა, კარლეილის ეპისკოპოსი სრულიად დაეთანხმა იორკის არხიეპისკოპოსის აზრს და სთქვა, ეკკლესია მუდამ გონივრულად უნდა ეპყრობოდეს და სცდილობდეს სამართლიანად გადასჭრას ეს ფრიად რთული საგანიო. შემდეგ კრების ერთმა წევრმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი

---

ულელვებენ, აძლევენ პირობას, რომ რა-კი ქმარს იშოვნიან, მერე მათ საყვარლად გახდებიან, მანამდის-კი მათ რაღაც ვაჭრულ ანგარიშის მიზეზით არ მიჰყვებიან. «თავის დღეში არ შემიძლია გავყვე ჟიულენისთანა კაცს, ეუბნება მოდი ერთს თავის მეგობარს ქალს, იმიტომ რომ არ მინდა ჩემს წრეს განვშორდე, გესმის! უფრო ადვილად შემიძლია გავხდე უბრალო კოკოტკა, მე ვარჩევ გავხდე არონის (მოხუცებული და საძაგელი ბანკირი) ხასად, ვინემ მის ცოლად“. სიყვარულით-კი გაგიჟებით უყვარს ჟიულენი: „ყოველი კაცი მეზიზღება და მეძაგება გარდა ჟიულენისა. მე მიყვარს მისი ხელები, მისი ტუჩები, მისი თვალები. მე მსურს ისა... არავინ არ მიყვარს იმ ერთის მეტი და ის-კი მიყვარს, მიყვარს საშინლად, უცნაურად“. მაგრამ განა გრძნობას სიყვარულისას შესწირავს სურვილს ბრილიანტებისა და ეტლების მოპოებისას, ისეთი ქალი, რომელიც ამას ეუბნება თავის საყვარელ კაცს: „სწორედ მიტომ, რომ შენ მიყვარხარ, მინდა ვიქმნე მდიდარი და თავისუფალი. შენ თუ გიყვარვარ უნდა გინდოდეს, რომ დედოფალი შევიქნე. ჩვენ უნდა დავატრიალოთ ჩვენი ბედის ბორბალი! და ამ ბორბლის ტრიალმა ქვეშ მოიტანოს ის ადამიანები, რომლებიც ჩვენზედ ულირსნი არიან, ის ადამიანები, რომლებიც ეკუთვნიან ჩვენზედ უმდაბლესს გვარს და რომლებითაც ჩვენ უნდა ვისარგებლოთ სრულიად უსირცხვილოდ, ისე უსირცხვილოდ თითქო ცხენს ლაგამს უდებდეთ და უნაგირს ვადგამდეთ“. ეს საშინელი ქმნილება არის შვილი დღეინდელის უსაქმურის საზოგადოებისა. ყმაწვილი კაცები მეტს არას ეძებენ, რომ ქალები ატყუონ, მათი მიზანი მხოლოდ ის არის რომ ქმარს მოასწრონ და მაზედ უწინ იგემონ ყოველივე სიტკბო ქალიშვილებისაგან. მთელი გუნდია თურმე ყმაწვილკაცთა, რომელნიც მარტო ამას მისდევენ, მათ პრევომ ჩინებული სახელი უწოდა déflorateur უბიწოების შემბღალველნი. იგინი არიან დამწყებნი, ინიციატორები, მერე მოჰყვება ქმარი და მთელი ლეგიონი საყვარლებისა.

რატომ დედები არ უგდებენ ყურს თავისს ქალებს, რატომ არ არიდებენ ასეთ კაცებს? ოჰ, დედები, მათ დიდად ეწყინებოდათ, რომ მათი ქალიშვილები ამ კაცებს უყურადღებოდ დარჩეთ. ყველაზედ უწინ ისინი არიან დამნაშავენი და პასუხისმგებელნი მათის ქალების გარყვნისათვის. მათ სიხარულით აღარ იციან რა ქნან, როცა მათი ქალების ირგვლივ ბუზებივით ირევიან ახალ გაზდანი და მით უფრო თავი მოსწონთ, რამდენს უფრო მეტს ესხმება თავბრუ მათის ასულების შემწეობით.

ქალიშვილებს ერთი აზრი აქვთ გათხოვების დროს, რაც შეიძლება მდიდარს წაჰყვნენ, რომ ყოველივე ბიწიერი სურვილები აღისრულონ. დედებს თავიანთი შვილები თაფლად მიაჩნიათ, რომლითაც იტყუებენ, რაც შეიძლება მეტს ფულიანს და სწირვენ თავიანთის სისხლისა და ხორცის ბედსა და იღბალს თავისის უწესო და ურიგო სურვილების აღსრულებისათვის. დღევანდელის საზოგადოების მიმზიდველი და წამქეზებელი, ღმერთი და იდეალი ფული გამხდარა. ფული გამეფდა დღეს და იმდენზედ გამლიერდა, რომ ველარავინ და ვერაფერი ვერ უბედავს შებმას. თვით უძლიერესი მეფეები თავს იხრიან მისს წინაშე და როტშილდები დღეს ფაქტიკურად ძლევა-მოსილ მეფეებად გამხდარან. ფულების სიმრავლემ კაცს მისცა ნება და შეძლება ყოველივე უცნაური, პირუტყვული სურვილები დაეკმაყოფილებინა. ამიტომაც თვით ამ სურვილებმაც იმატეს დ ისე გაიზარდნენ, რომ დღევანდელის კაცობრიობის უმეტესი ნაწილი მარტო არა ადამიანურის გრძნობისა და მისწრაფების ჭურჭელი გამხდარა. ამ სურვილების დაკმაყოფილება მხოლოდ ფულს შეუძლია, —ფული პირველ იდეალად გამხდარა. ქმარი ცოლს ჰყიდის, დედა შვილს, და ძმას და მეგობარი მეგობარს, ყოველი ადიმიანი-კი თავისს სინიდისსა და ღირსებას ფულის გულისათვის. საზოგადოება გახრწნილია და მოსე-კი არსად არის, რომ ოქროს ხბო დაამტვრიოს და აღმოუჩინოს საზოგადოებას დიადი პრინციპები ცხოვრებისა. დღეინდელი საზოგადოება რომის უკანასკნელ დღეებს მოგაგონებთ. მაგრამ ქრისტე არსად არის, რომ განახლება მოახდინოს და კაცობრიობა გარდაბადოს და გარდაქმნას. გარეგანი შეხედულება იმ უსირცხვილო ვაკხანალიასი, რომელშიაც დღეს მთელი საზოგადოების წევრები ჩაბმიან, უპირველე მდიდრიდან დაწყებული უკანაკნელ ღარიბემდის, გონების წარმტაცია, მისი შინაგანი შხამიანი არსების შემგნებელი-კი ერთობ ცოტაა. დღეინდელი საზოგადოება მთელს ქვეყანაში უსაშინელეს კრიზისშია, მის ქაჯურს, თავბრუ დამსხმელს ცეკვათამაშს იგი უფსკრულის ნაპირას მიჰყავს. თუ გვინდა იგი კრიზისს გადავარჩინოთ, თუ გვინდა დამსხვრევისა და გაცამტვერებისაგან ვიხსნათ, ყველამ უნდა ვეცადოთ ამ მდგომარეობის გამომწვეველი ძალები შევმუსროთ, საზოგადოება გამოვაფხიზლოთ, უმაღლესი იდეალები დავუსახოთ და ახალი მცნებები შევუდგინოთ.

მარსელ პრევომ თუმცა გულის მომწყვლელი, მაგრამ ჭეშმარიტი სურათი დაგვიხატა ეხლანდელ მავნე სულით შეპყრობილის საზოგადოებისა (არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელის ქვეყნისა, კიდევ ვიმეორებთ მათთვის ვინც იფიქრებს, რომ ეს სურათი ჩვენს ცხოვრებას არ შეეხება),—საშუალება-კი ვერა გვიჩვენა-რა. მიტომ, რომ საზოგადოების ასეთი მდგომარეობიდამ გამოხსნისათვის არა კმარა ჟანნასთანა ქალები (მაქსიმ დეშანტელის და), რომელიც ავტორს იდეალად მიაჩნია, და რომლის ღირსებაც იმაშია მხოლოდ, რომ არაფერს ურიგოს არა შვრება, პასსიურად პატიოსანია, მაგრამ რაიმე თვალსაჩინო კეთილის გაკეთებაც, ვგონებ, არ შეუძლია (რომანიდან მაინც არა სჩანს ესა). ეხლანდელ ცხოვრებაში საჭირო არიან ზნეობით ფაქიზნი, მაგრამ აქტიურად პატიოსანნი, ენერგიულნი დედანი და დანი, რომელნიც თავ-განწირულებით უნდა მსახურებდნენ სამშობლოსა და ოჯახს და არა ისრეთი ცხვარის მზგავსი ადამიანი, რომელიც ჭიასაც ვერ გაალვიძებს, მაგრამ მაგიერში ჭიასაც ვერ მოაშორებს თავისს მოძმეს, თუმცა მოდის თანა ქალებთან ჟანნა იდეალია, მაგრამ მაინც არ არის ისეთი იდეალი, რომელიც საჭიროა ცხოვრებისათვის.

ვერაფერი საშუალებაა ვერც მონასტერში ქალების აღზრდა, რომელსაც ავტორი ქადაგებს, თუ წინასიტყვაობაში და თუ თვით რომანში ერთ-ერთი გმირის პირით. მიტომ, რომ ეგ საშუალება ნაცადია, მაგრამ უნაყოფო და უხეირო გამოდგა: ეს წამალი მეტის-მეტი ძველია და უვარგისი. ჩვენის აზრით ავტორი კარგს იზამდა სულაც არ შეხებოდა ამ კითხვას (ქალების აღზრდას), რადგან სულაც არ შესძლებია იმისი ხეირიანად გარდაწყვეტა. რამდენადაც მშვენიერად ახასიათებს და მსჯავრსა სდებს განხრწნილს საზოგადოებას ბ-ნი პრევო, იმდენად უხერხულ გზებს გვიჩვენებს ხსნისას. კარგად შეუგნია ავტორს მიზეზები ასეთის უცნაურის გარყვნილებისა, მშვენიერად შეუსწავლია სული და გული დღეინდელის საზოგადოებისა, მაგრამ წინასწარმეტყველად და მოძღვრად მაინც არ ვარგა. ამ წინასწარმეტყველსა და მოძღვარს ყველა გაფაციცებით ელის. ბევრი რამ გვაძლევს იმედს, რომ უნდა გამოჩნდეს გენიოსი, რომელიც ახალი ცხოვრების დამწყები და სულის ჩამდგმელი იქმნება, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ვერა ვხედავთ. ადრე იქნება თუ გვიან, ეს ვინ იცის, მხოლოდ მეტის-მეტად თუ დაიგვიანა, სწორედ პეტრეს მოსვლამდი... იქნება.

კიტა.

დამოკიდებულება არსებობს ეკკლესიასა და სოციალიზმს შორის.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

პარისის გაზეთებში მოყვანილია ცხრა წლის ანგარიში პასტერის ინსტიტუტისა. ამ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ცოფიან პირუტყვთაგან დაგლეჯილთათვის ნახევარზედ მეტისთვის ავად გახდომა აუცდენიათ და სამი-მეოთხედი ნაწილისათვის სიკვდილი. წარსულ წელში 1,392 კაცს აუცრეს. ამათგან 226 უცხოელი იყო. წამლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ადგილას არის კაცი ნაკბენი ცოფიან პირუტყვისაგან. ყველაზედ ძნელი საწამლებელი თავში ნაკბენია. ბევრი ავადმყოფთაგანი რამდენსამე ადგილას იყო დაკბენილი და ბევრი მათგანი მთლად დაგლეჯილი.

ამ დღეებში ტურინში დაქორწინდნენ ორნი ფლორენციელნი, ძმანი ტყუპად დაბადებულნი. მათ შეირთეს ტურინელი ქალები დები, აგრეთვე ტყუპად დაბადებულნი. ძმები ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ კაცი ერთს მეორისაგან ძლივს გაარჩევს. ასევე ჰგვანან ერთმანეთს მათი ცოლებიც.

## ბიბლიოგრაფია.

ვენაში გამოვიდა წიგნი გერმანულს ენაზედ, სახელწოდებით Uber das Georgiche—საქართველოს შესახებ. ავტორი ამ წიგნისა არის ცნობილი წევრი ვენის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა ჰუგო შუხართი (Hugo Schuchardt), რომელიც კარგა ხანია სწავლობს ქართულს ენას. მისის ას ცალად გამოცემულის წიგნაკიდგან სჩანს, რომ ავტორი უკვე რიგიანად გასცნობია ქართულს ენასა და გრამატიკას, რომლის კრიტიკული განხილვა შეადგენს წინამდებარე წიგნაკის შინაარსს. ამ გამოცემაში ბ-ნი შუხართი გააცნობს მკითხველებს იმ შრომათა და გამოკვლევათ, რომელნიც შეეხებიან ქართულს ენას, ვითარცა შრომანი ცაგარლისა, ერკერტისა, ჩუბინაშვილისა, შანშოვანისა, ჯანაშვილისა, კლაპროტისა, მაჯიოსი და სხ. თავისს წიგნს ავტორი უძღვნის პროფ. პ. მელიქიშვილს.

## წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ დაჰბეჭდოთ ანგარიში იმ წარმოდგენისა, რომელიც სიღნაღში იყო გამართული 21 აგვისტოს საქველ-მოქმედო აზრით, მომავალ სათავად აზნაურო ქალების სკოლის ფონდის სასარგებლოდ; ფული სულ შემოვიდა 135 მ. და 40 კ. დაიხარჯა 35 მ. და 35 კ., ხოლო დანარჩენი 100 მ. და 15 კ. წარიგზავნა დანიშნულებისამებრ. ამასთან არ შემიძლიან არ გამოვუცხადო გულითადი მადლობა იმ სცენის მოყვარეთ, რომელთაც აღნიშნულს წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს.

კნეინა ელენე ზაქარიას ასული ანდრონიკოვისა.

11 სექტემბერი, 1895 წ.
ქ. სიღნაღი.

—

თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყებ-რა საზოგადოებას, რომ ნება მივიღე სვანეთში სამკითხველო წიგნთ-საცავის გახსნისა, მივმართავ და გთხოვ ხელი შემიწყონ ამ საქმეში წიგნებისა და ფულის შემოწირვით.

გთხოვ ტფილისისა და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობათ და კერძო ავტორებ. გამომცემლებს თავიანთი გამოცემანი თითო ან მეტი ეგზემპლიარი დაუთმონ სვანეთის ბიბლიოთეკას. საჭიროდ მიმაჩნია აქვე შევნიშნო, რომ ტფილისის ამხანაგობამ შარშანვე გადმომცა თითო ეგზემპლიარი თავისს გამოცემათა; აგრეთვე ყველასაგან პატივცემულმა ბ-ნმა ი. გოგებაშვილმა და ზ. ჭიჭინაძემ დამითმეს თავიანთი შედგენილ-გამოცემული წიგნები. რამდენიმე სხვა ავტორებისაგანაც მივიღე თითო წიგნი, რომელთა სახელი და გვარი თავისს დროზედ გამოცხადდება გაზეთში. შემოწირულება წიგნებით თუ ფულით უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: сел. Цагери, священнику Виссаріону Нижарадзе.

გთხოვ „კვალის“ რედაქციას ეს წერილი გადაჰბეჭდოს თავისს გაზეთში.

ბ. ბლიოთეკა-სამკითხველოს დამაარსებელი
მღვ. ბესარიონ ნიჟარაძე.

—

19 აგვისტოს აქაურმა სცენის მოყვარეებმა კნეინა სადიკო წერეთლის მოთავეობით წარმოადგინეს ვ. გუნიას კომედიები: „მონადირე“, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“. გამართული იყო აგრეთვე ცოცხალი სურათები და სიმღერა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მოსწავლის დავით ჭიღლაძის სასარგებლოდ, რომელიც წელს ამთავრებს სწავლას ამ სასწავლებელში.

წარმოდგენამ საზოგადოდ ძალიან კარგად ჩაიარა და მაყურებლები დიდად ასიამოვნა, განსაკუთრებით ცოცხალმა სურათებმა. მშვენივრად აღასრულეს თავისი როლები კნიაჟნა კატუტია წერეთლის, ასულმა კნეინა კარინკა, კნ. მაშო წერეთლისამ და თ-დმა ალექსანდრე სიმონის ძე წერეთელმა; მათში განსაკუთრებითი ყურადღება მიიქციეს კნიაჟნა კატუტია წერეთელმა და თ-დმა ალექსანდრე წერეთელმა.

მთელი შემოსავალი იყო 103 მანეთი. აქედგან სცენის მოწყობაში დაიხარჯა 35 მან. 53 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 67 მან. 47 კაპ., რომელიც გარდაეცა მოსწავლეს დავით ჭიღლაძეს.

დიდს მადლობას სწირავს კნეინა სადიკო წერეთლისა თ-დს გიორგი კარდენის ძეს წერეთელს, რომელმაც მუქთად ათხოვა სახლი წარმოდგენისათვის, თ-დს გრიგოლს სოლომონის ძეს ბეგთაბეგოვს და კნიაჟნა ბებე წერეთელს, რომელთაგანაც ზირველმა შემოსწირა ფულად 3 მანეთი და მეორემ 2 მანეთი.

ყარამან ჩხეიძე.

საჩხერე, 1895 წ. 10 სექტემბერი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 სექტემბერი.

**პარიზი.** ხმა დადის, ვითომც ბარონი მორენჰეიმი პარასკევს კონტრექსევილს წავა თავ. ლობანოვ-როსტოვსკის სანახავადაო. შაბათს ან კვირას მინისტრი და ელჩი ერთად წავლენ პარისს.

დრაგომიროვთან ვიზიტად იყო გარეშე საქმეთა მინისტრი ჰანოტო, ცერემონიალის გამგე კროზიე და გენერალი ტურნიე. უკანასკნელი პრეზიდენტის წარმომადგენლათ მოვიდა.

საბიუჯეტო კომისიაში კავენიაკმა წინადადება წაიკითხა, რომ გამოწვეულ იქმნას უმეტესი ნაწილი იმ ჯარებისა, რომელიც ახლა არიან ტუნისსა და ალჟირში, შედგენილ იქმნას მათგან ახალი კორპუსი აღმოსავლეთის საზღვარზედ, დანარჩენ ჯარებიდგან-კი შედგენილ იქმნას კოლონიათა საკუთარი ლაშქარი.

მადაგასკარიდგან იუწყებიან, რომ საფრანგეთის ჯარმა ამბოგიმენინის გასავალი დაიჭირაო; ჰავასელთა ჯარი, რომელიც ამ გასავალს იცავდა 30 ზარბაზნით, სრულიად დაამარცხეს და პირი აბრუნებინეს, ფრანგთ ცოტა ჰყავთ მოკლულ-დაჭრილიო.

**სტამბოლი.** გოდეიდის ქალაქში, იემენის ვილაიეტში, დიდის წვიმების გამო მიწის ზვავი ჩამოწვა; დაიქცა ბაზრის შენობა და რამდენიმე ასი კაცი მოკლულ იქმნა.

**ლონდონი.** ჩინეთიდგან დეპეშა მოვიდა: იმპერატორს ბრძანება გამოუცია, რომ ლი-ხუნგ-ჩანგმა და ცუნგ-ლი-იამენის დანარჩენმა წევრებმა შეადგინონ იაპონიასთან საგანგებო ხელშეკრულობის პროექტი.

15 სექტემბერი.

**ბაქო.** კასპიის ამხანაგობის შადრევანს ცეცხლი გაუჩნდა იმის გამო, რომ ნავთის ასაყვან მილს მეხი დაეცა. შემდეგ მეორე შადრევანებსაც გაუჩნდა ცეცხლი, პიტოევისას და კრასილნიკოვებისას. ორი მუშა კასპიის ამხანაგობისა დაიწვა, სამი დაშავდა, ერთიც დაიკარგა.

**პარიზი.** სამსჯავრომ სამის წლით დაპატიმრება გაუჩინა ანარხისტს ბუტეილს, რომელმაც როტშილდის კიბის ქვეშ ასაფეთქებელი ყუმბარა შეაგდო. ბუტეილმა განაცხადა, რომ როტშილდების შეშინება მინდოდა, თორემ ყუმბარა საშიშარი არ იყოვო.

**რიოჟანეირო.** პარლამენტმა არ შეიწყნარა ის კანონ-პროექტი, რომლითაც ამნისტია უნდა მინიჭებოდა დამნაშავეთ. პარლამენტის უარმა აჯანყება გამოიწვია.


# განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის
ლ ე ქ ს ე ბ ი და წ ე რ ი ლ ე ბ ი.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

მ ა მ ი ს ე რ თ გ უ ლ ი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

მ ტ რ ე დ ი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მ.ნ., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible] ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

კარგის დუხების მოყვარულთ ვურჩევთ:
**დუხები „საფო“**-ს—საუცხოვო და სასიამოვნოა.
**საპონი „საფო“**-ს—მშვენიერი სუნი აქვს და მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.
ს. ჰ. ბ. სატეხნიკო-ქიმიური ლაბორატორია.
ისყიდება ყველგან.
(7—3)

L'URBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.
(40—17)


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Сентября 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.